

ილია ჭავჭავაძის სახელობის
თბილისის ენისა და კულტურის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ენა, თარგმანი, ლიტერატურა

‘ენა და კულტურა’
თბილისი
1999

მარინა ჯაში

ოკაზიონალური კომპოზიციების სტილისტური
ფუნქციები პრესაში

პრესისა და პუბლიცისტიკის სტილი თავისი გამოსატყობის საშუალებებით მნიშვნელოვნად მრავალფეროვანია, ვიდრე ოფიციალური კომუნიკაციისა და მეცნიერების სტილი. თავისი ამოცანა წარმატებით რომ შეასრულოს, პრესისა და პუბლიცისტიკის სტილს უნდა გააჩნდეს დარწმუნების როგორც ობიექტური, ასევე ემოციური ძალა. სინამდვილის ამა თუ იმ მოვლენის დამაჯერებლად და დამარწმუნებლად წარმოსადგენად შეიძლება გამოყენებულ იქნას თვალსაჩინო-ექსპრესიული ლექსიკა. ენობრივი ფიგურებით ტექსტი უნდა იყოს არა მარტო მსუბუქად აღსაქმელი, არამედ უფრო ელასტიური და ემოციური. პუბლიცისტური სტილის ექსპრესიულ გამოხატვაში განსაკუთრებულ მონაწილეობას ღებულობს სატირის საშუალებები. ამისათვის კი განსაკუთრებით შესაფერისია კომპოზიციები. მათი საშუალებით იქმნება ადვილად გასაგები და სწრაფად დასამახსოვრებელი ოკაზიონალური კომპოზიციები.

ცდა, რომ ყველა კომპოზიტი დაგვეყო სტილისტურად მარკირებულ და არამარკირე-

ბულებად, მარცხით დამთვარდებოდა. კომპოზიციის ყოველი მოდელი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სტილისტური საშუალება, გამომდინარე მისი კომპონენტების აზრობრივი კონტექსტიდან და მათი გამოყენების სიხშირიდან. კომპოზიციის შიგნით წარმოებს მეტაფორიზაცია ან მეტაფორული შედარება. რთული სიტყვა არის ტექსტის მცირე ნაწილი გადატანითი მნიშვნელობისათვის: Wattenmeer(Liliencron), Wolkenkähme(Stittmatter), Pflaumenlippen (M. Frisch).

ყოველ ფუნქციურ სტილში კომპოზიციები დიდ როლს თამაშობს. საქმიან პროზაში ისინი გვაწვდის მასალას ახალი საგნებისა და ცნებების აღსანიშნავად, რომლებიც სპეციალურ ლიტერატურაში ტერმინებად რჩება ან პუბლიცისტიკის და ოფიციალური კომუნიკაციის არხებით „ფართო“ ასპარეზზე „გაღის“.

სუბსატანტიური კომპოზიციები აღნიშნავს ახალ საგნებს მათი თვისებების გათვალისწინებით. მაგალითად: Einbaumöbel, Allzweckkleiderschrank, Raumsparbett. პუბლიცისტიკა სავსეა კომპოზიციებით: Welttitelkämpfe, Parteiwechsler, Blattmacher(Journalist), Entschuldigungskatalog.

ამგვარი კომპოზიციები ხშირად იჩენს თავს პრესაში, რითაც დიდ ემოციურ ზეგავლენას ახდენს მკითხველზე. სულ უფრო იზრდება დეფისით ნაწარმოებ კომპოზიტთა რიცხვი: Inhalt-Form-Dialektik, Zwei-Drittel-Sieg, Polit-Häfting, Kanonenstatt-Butter-Politik.

ზოგიერთი ასეთი კომპოზიცია ენის ეკონომიის პრინციპებს ემსახურება, ზოგიერთი მათგანი კი, განსაკუთრებით პირთა მახასიათებლები, სატირულ ელფერს შეიცავს, სადაც ერთჯერადი პროცესის წინა პლანზე წამოწევით-(Parteiwechsel) კომპოზიტი აგენსად, პროფესიის გამომხატველ სახელად იქცევა(

Parteiwechsler). ყოველი კომპოზიტი, რომელ სტილშიც არ უნდა შეგვხვდეს ის, ისწრაფვის ექსპრესიული სიმოკლისა ან ინფორმატიული ეკონომიკისაკენ. თავისუფლად ქმნის მწერალი ან პოეტი ახალ კომპოზიტს ზუსტი და გამომხატველი სიტყვის შესაქმნელად. კომპოზიტის საშუალებით შეიძლება ბევრი რამ და რთული შინაარსიც კი გავაერთიანოთ. რთული ზედსართავები იქმნება სპეციალური დასახელებების საჭიროების გამო.

ისინი სინამდვილის თვალსაჩინოებას ახდენენ: blühwillige Rasen, flimmerfreies Fernsehbild, gleitsichere Solen.

რთული ზედსართავები გვეხმარება თავიდან ავიცილოთ აღმატებითი წარმოება და ამ უკნასკნელზე უფრო ხატოვანია: hauchdünn, spinnwebfein, ნაცვლად sehr dünn, feinste, atemberaubend, ნაცვლად sehr spannend.

კომპოზიტების გზით ნიშნის ინტენსიფიკაცია მარტივად და ელასტიურად წარმოებს. მიმღობები ზედსართავის ფუნქციაში ასევე კარგად ეგუება კომპოზიტებს. ხშირად საქმე გვაქვს სინტაქსური შეთანხმების შეერთებასთან ან შერწყმასთან. არსებობს მრავალრიცხოვანი გადასვლები სინტაქსურ შეთანხმებასა და კომპოზიტს შორის. საზღვრის გატარება სინტაქსსა და სიტყვათწარმოებას შორის აქ ძალიან რთულია. მასშტაბი იმისა, გვაქვს თუ არა საქმე კომპოზიტთან, შეიძლება იყოს: ახალი, წევრთა საკუთარი მნიშვნელობის მიმართ შეცვლილი, ხშირად გადატანითი მნიშვნელობა: eine bahnbrechende Erfindung, hochgestellte Persönlichkeit; ხშირად ხდება მთავარი აქცენტის გადატანა მხოლოდ ერთ წევრზე: ein vielbesprochenes Ereignis. პრედიკატიული ან ატრიბუტიული პოზიციის შემთხვევაში იგივე

სიტყვას სხვა მნიშვნელობა ექნებოდა. კომპოზიტის ყოველი მოდელი სტილისტური საშუალებაა, მოდელს Subst.+Adj.-გააჩნია გასაოცარი შემოქმედებითი ძალა, განსაკუთრებით რეკლამასა და ბელეტრისტიკაში: flaschengrün, beduinblau, tabakbraun, muskatfarben, polarweiß ხშირად გვხვდება სარეკლამო ტექსტებში, ხოლო: märzblau, abendrot, zirkusbunt, lachrot-კი მწერლებთან. ყოველ დღე პრესაში ახალი ზედსართავები ჩნდება, რომლებიც მთელ სიტყვათა ჯგუფებს და წინადადებებს ამჭიდროებს. მაგალითები საგაზეთო რეკლამებიდან: vitaminfrisches Gemüse (so frisch, daß die Vitamine erhalten sind), gartenfrisch (kommt frisch aus dem Garten), geruchfestes Geschirr (kein Geruch bleibt anhaften), mundfrisch (kommt ganz frisch in den Mund), kniefreies, halsfreies Kleid, löffelfertige, tischfertige, tassenfertige, kochfertige Speisen. მყარი კომპოზიტების გვერდით ყოველდღიურად ახალი ერთჯერადი კომპოზიტებიც იქმნება, განსაკუთრებით პრესის, რეკლამის და პოლიტიკურ ტექსტებში. რადგან კომპოზიტების უმეტესობა არ ართულებს მათ გაგებას, არამედ პირიქით აადვილებს მას, ბევრი ავტორი იყენებს სიტყვათა ამ ფორმებს, რათა სინამდვილე უფრო ზუსტად გადმოსცენ ან უფრო ხატოვნად დაახასიათონ.

მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი თავისუფლად ქმნის კომპოზიტებს, ამასთან ის ცდილობს ახალი წამონაქმნები არსებული კომპოზიტების ანალოგიით შექმნას. სწორედ ისეთი ერთჯერადი წამონაქმნებია საინტერესო სტილისტიკისათვის, რომელთაც ზოგი ენათმეცნიერი არასწორად უწოდებს „მწერალთა ნეოლოგიზმებს“. მართალია, ისინი მხატვრული ლიტერატურის სფეროში უფრო ხშირად გვხვდება, მაგრამ მარტო ამ სფეროთი არ

შემოიფარგლება. ისინი გვხვდება ოფიციალურ სტილში, პრესისა და პუბლიცისტიკის სტილში, ყოფით ლექსიკაში. მეცნიერების სტილში, განსხვავებული როდენობით და განსხვავებული ფუნქციური და სტილისტურ-ექსპრესიული შეფერილობით.

ეს ერთჯერადი კომპოზიციები უნდა შეიქმნას გერმანულ სიტყვათწარმოებაში არსებული სტრუქტურული კანონებით. როცა გოეთემ სიტყვა "Kleinleben" შექმნა, წერდა ის "Dichtung und Wahrheit"-ში: Ich möchte diesen wort nach der Analogie von "Stilleben" gebrauch-ში. ამით აჩვენა პოეტმა, რომ თავისი ნეოლოგიზმი მან მიუსადაგა უკვე არსებულ გერმანულ სიტყვას. ბრეხტი წერდა თავისი ნეოლოგიზმის "Fröhlichsein"-ის შესახებ: „ეს სიტყვა განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა. მას აქვს თითქოს რაღაც ახალი, თითქოს ჯერ ართქმული და ამავე დროს კარგად ცნობილიც“. ბიოლი თავის ნაწარმოებში "Das Brot der frühen tage" თავის ნეოლოგიზმს თვითონ ხსნის: "Meine Augen brannten, meine Knien waren schwach. Ich war brotsüchtig, wie man morphiumsüchtig ist."

თუ ერთჯერადი კომპოზიციები შინაარსობრივად და სტილისტურად მოტივირებულია, მათ გააჩნიათ ესთეტიკური ღირებულება და განსაკუთრებულ სტილისტურ შეფერილობას აძლევენ კონტექსტს. ბევრი ერთჯერადი კომპოზიტი მხოლოდ ხანმოკლე დროით იქმნება. ზოგი ერთხელ ან ორჯერ გვხვდება, ამიტომ უწოდებენ მათ ერთჯერად კომპოზიტებს. ისინი განსაკუთრებული ტიპის არამყარი სიტყვებია, რომელთა დაშლა იოლია და მაინც ისინი იქმნება ენაში არსებული სტრუქტურული და სემანტიკური ანალოგიების

მიხედვით. ამიტომ ისინი მოლაპარაკეთათვის ყოველთვის ვასაგებია. პრესაში ხშირად გვხვდება უჩვეულო კომპოზიციებიც, რომლებიც განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს, რადგან ისინი აძლიერებენ დინამიურ-ექსტაზურ ზემოქმედებას: klangsuchig, welklagig, schamzerpört, ან ისეთები, რომელთა გაგება მნიშვნელთვანად გაძნელებულია, თუ მათი შემქმნელი არღვევს შინაგანი ვალენტობის კანონებს: Unglücksglück, nahfern, engweit, dumm-schlaue Diplomaten.

აქ საწინააღმდეგო ცნებები ოქსიმორონის სახით არის შეერთებული, რის შედეგადაც ირღვევა სემანტიკური შეთანხმება. ზოგიერთი ოკაზიონალური კომპოზიტი არღვევს ენის სტრუქტურულ ნორმებს, იწვევს გაუცხოებას, საგონებელში აგდებენ მკითხველს, რაც ავტორის მხატვრულ განზრახვას წარმოადგენს. „სტილისტური ოკაზიონალიზმები გამოხატავენ სიტუაციის განწყობილებას“ (Faulseit Kühn). კონტექსტის გარეშე ისინი ხშირად აზრს კარგავენ. ხშირად კომპოზიტი კონკურენციას უწევს თავისუფალ სიტყვათა ჯგუფს მკვეთრი აზრობრივი სხვაობის გარეშე. მაგალითად: "...und derart flossen Zweigroßstadtjahre ereignislos an ihr vorüber." (St. Zweig).

ყოფით ლექსიკაში უფრო ჩვეულებრივი იქნებოდა სიტყვათა ჯგუფი "zwei Jahre in der Großstadt", მაგრამ კომპოზიტი უფრო კომპაქტურია და ქმნის ახალ ცნებას ნაცვლად რამდენიმე ცნების შეერთებისა. ლოკალური განსაზღვრება in der Großstadt იქცევა ადგილის დასახელებიდან ერთიანი ცნების აზრობრივ კომპონენტად, როცა რაიმე მომენტალური ხანგრძლივში გადადის, როცა გარდამავალი მოვლენა არსებითის მტკიცე ცნებად იქცევა. კომპოზიტი შეიძლება შეიცვალოს ტრადიციული

გამოთქმით. მაგრამ ამით კონტექსტი კარგავს თავის ხატოვნებას. ასეთი სიტყვების შეტანა ლექსიკონებში საჭირო არ არის, რადგან ისინი ნებისმიერად იქმნება და იშლება, მაგრამ ამასთან გათვალისწინებული უნდა იყოს შინაარსობრივი და სტილისტური მოტივაცია. თუ ეს ასე არ არის, თუ ასეთი კომპოზიციებისათვის კომუნიკაციური საჭიროება არ არსებობს, მაშინ ისინი დადასტურ ფიგურებს წარმოადგენენ და მათ გამოყენებას აზრი არა აქვს. მოტივირებული კომპოზიციები ხატოვნების სტილისტურ საშუალებას წარმოადგენს, რათა უფრო ემოციური გახადონ კონტექსტი. ამგვარი ენობრივი ფიგურებით ტექსტი ადვილი აღსაქმელია, უფრო ემოციურია. ამგვარი კომპოზიციები უზრუნველყოფს სტილის შექმნას, ქმნის განსაკუთრებულ კომუნიკაციურ ეფექტს, რის შედეგადაც ძლიერ ხემოქმედებას ახდენს მკითხველზე, იწვევს მასში მრავალფეროვან ემოციებს და ხშირად ეხმარება მათ სიტყვათშემოქმედებით პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Kurze Stilistik von B. Friedrich und J. Zech, Berlin, 1987.
2. E. Riesel, E. Schendels-Deutsche Stilistik, M. 1975.
3. B. Sowinski-Deutsche Stilistik, Frankfurt am Main, 1978.
4. Faulseit-Kühn-Stilistische Mittel und Möglichkeiten der deutschen Sprache, Leipzig, 1975.
5. E. K. Roloff-Journalistische Textgattungen, München, 1982.
6. W. Rost-Deutsche Stilschule, München, 1971.

**Stilistische Funktionen der okkasionellen Komposita
in der Presse**
Zusammenfassung

Die Publizistik und die Presse wimmeln von Komposita. Die Tageszeitungen und Zeitschriften bieten dafür reichlich Belege. Die Neubildungen treten nur selten in den Wortschatz der allgemeinen deutschen Nationalsprache ein; viele fallen als journalistische "Eintagsfliegen" der Vergessenheit anheim.

Durch ihre Ungewöhnlichkeit (Einmaligkeit) hinsichtlich der Struktur und Semantik drücken sie verschiedene stilistische Funktionen aus: Sie werden zur Untermauerung des Zeitkolorits, zum Ausdruck des Humors und der Satire verwendet. Durch Merkmale der Ungewöhnlichkeit fördern sie die Stilbildung; ~~die schafwikt~~, verschiedene Emotionen in ihm hervorruft und nicht zuletzt ihm beim Wortschöpfungsprozeß hilft.

ქ.ჯაში

სტუდენტური არგო თანამედროვე ფრანგულ ენაში

არგო-ეს ქერდული სამყაროს პროფესიული ჟარგონია. იგი მოიხსენიება შერ კიდეც XIII ს. ხელნაწერებში. XIX ს. მეორე ნახევრიდან არგოს ლექსიკა ერევა დიალექტიზმებს და თანდათან მკვიდრდება ენაში, ფაშილარულ მეტყველებაში. აქედან უკვე არგო გადადის მხატვრულ ლიტერატურაში.

რომელიმე პროფესიული ან საზოგადოებრივი ჯგუფის მეტყველებას ეწოდება ჟარგონი, რომელიც ფრანგულ ენაში არგოს სახელითაა ცნობილი. როგორც სოციალური ჟარგონი, არგო მიეკუთვნება სოციალური დიალექტების ფართო ჯგუფს. იგი